ინგა ფუტკარაძე •

აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მისი გავლენა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების რეჟიმებზე

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია იმის ჩვენება, თუ რა გავლენა იქონია აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ და ყარაბაღის კონფლიქტის დასრულებამ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების რეჟიმებზე. ნაშრომში განხილულია თუ როგორ აფასებენ ყარაბაღის ომის შედეგებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რაც გულისხმობს საინფორმაციო ვებ-გვერდების, სოციალურ მედიასა და სატელევიზიო ჩანაწერებზე დაყრდნობით, ყარაბაღის ომის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების, საზოგადოების გამოხმაურებებისა და განწყობების შესწავლა/ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი.

შესავალი

2024 წლის 1 იანვრიდან, 33 წლის შემდეგ, მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ არსებობა ოფიციალურად შეწყვიტა. 2023 წლის 19 სექტემბერს აზერბაიჯანმა „ანტიტერორის-

---

• ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

.

ტული ოპერაციის“ სახელით მთიან ყარაბაღზე შეტევა განახორციელა და სრული სუვერენიტეტი აღიდგინა (რადიო თავისუფლება, 2024).

შედეგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი ძალთა ბალანსი დამყარდა და გეოპოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა. შესაბამისად, როგორც ქართულ, ისე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინი იმისა, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ყარაბაღის კონფლიქტის მსგავსი სცენარი განმეორდებოდა. ამას ადასტურებს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ანგარიში, რომლის თანახმად, ყარაბაღში აზერბაიჯანის წარმატებულმა სამხედრო ოპერაციამ აფხაზურ საზოგადოებაზე მწვავედ იმოქმედა. მოსახლეობის შიშის გასანეტრალებლად აფხაზურ პოლიტიკურ დისკურსში ორი თეზისი გავრცელდა. პირველი, ის რომ ყარაბაღისგან განსხვავებით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა საერთაშორისო არენაზე 5 სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული და რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობის გარანტორია, ხოლო მეორე ხედვის თანახმად ყარაბაღის ომის შედეგზე პასუხისმგებლობა სომხეთის პრემიერ-მინისტრს, ნიკოლო ფაშინიანს ეკისრება, რომელმაც „რუსული პოლიტიკური კურსისგან“ გადაუხვია (DRI-დემოკრატიის კვლევი ინსტიტუტი, 2023).

შესაბამისად, საინტერესოა რამდენად საფუძვლიანია აფხაზი და ოსი საზოგადოების შიში და რა გავლენა იქონია აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებზე? ამას ემატება ისიც, რომ სამხრეთ კავკასიის არაღიარებულ ტერიტორიებს, როგორც ყარაბაღსა და აფხაზეთს, ისე ყარაბაღსა და ცხინვალს ერთმანეთთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა აკავშირებდათ. მაგალითად, 2017 წელს ქ. სტეფანაკერტში, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკასა და თვითგამოცხადებულ ყარაბაღის რესპუბლიკას შორის ე.წ. მემორანდუმი

გაფორმდა რომლის მიზანი ე.წ. ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება იყო (Reginfo, 2017). ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებს სიფრთხილით აკვირდებიან.

მოცემული კვლევის მიზანია შევისწავლოთ, თუ რა გავლენა იქონია აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების რეჟიმებზე. ასევე განვსაზღვროთ, თუ როგორ აღიქვამს ყარაბაღის ომის შედეგს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდსადა მიზნობრივ/შეფასებით შერჩევას. კვლევა მოიცავს, მეორეული წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზს, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო ვებ-გვერდებზე, სოციალურ მედია ჯგუფებში, სატელევიზიო ჩანაწერებში საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის, საექსპერტო წრეების, ე.წ. ხელისუფლების განწყობებისა და აღქმების შესწავლა/ანალიზს. კვლევის საწყისი პერიოდად განისაზღვრა 2020 წელი - ყარაბაღის მეორე 44 დღიანი ომი და შემდგომ უკვე ომის დასასრული, - 2023 წელი.

სამხრეთ-კავკასიური კონფლიქტების თავისებურებები

კვლევა ეყრდნობა ნეორეალიზმისა და ძალთა ბალანსის თეორიებს. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, უსაფრთხოების დილემის კუთხით, პატარა ომები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე (Waltz, 1979). აღნიშნულის დადასტურებას სწორედ ყარაბაღის ომი წარმოადგენს, რის შედეგადაც რეგიონში ძალთა ბალანსი სრულიად შეიცვალა. ერთი მხრივ გაიზარდა აზერბაიჯანისა და მისი მოკავშირე თურქეთის გავლენა, ხოლო შემცირდა სომხეთისა და რუსეთის, თუმცა ყარაბაღში კვლავ რჩებიან ე.წ. რუსი სამშვიდოები. ყარაბაღის

ომს ასევე დიდი გავლენა აქვს რეგიონის სხვა აქტორებზე, - ირანზე, საქართველოსა და მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე, სადაც შიშობენ, რომ ყარაბაღის მსგავსი სცენარი შესაძლოა მათთანაც განმეორდეს.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, განსხვავება თავდაცვით და თავდასხმით რეალიზმს შორის. თავდაცვით რეალისტებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფომ სტატუს-ქვოს შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს, ოფიციალური სომხეთის პოლიტიკა ცდილობდა შეენარჩუნებინა ყარაბაღის არსებული სტატუსი (Waltz, 1979). ხოლო თავდასხმითი რეალიზმი, რომლის ერთ-ერთი კლასიკური წარმომადგენელი ჯონ მერშაიმერია, აქცენტს ძალის მაქსიმალიზაციაზე აკეთებს და მიიჩ-ნევს, რომ საერთაშორისო სისტემა თავად უბიძგებს სახელმწიფოებს გაზარდოს ძალის გამოყენება. უოლცის „თავდაცვითი რეალიზმის-გან“ განსხვავებით, მერშაიმერისთვის, ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს გადარჩენის ერთადერთი გზა ძალის მაქსიმალური გაზრდაა (Mearsheimer, 2005). „თავდასხმითი რეა-ლიზმი“ კი აზერბაიჯანის პოლიტიკას ერგება, რომელმაც სამხედრო პოტენციალი ტერიტორიების დასაბრუნებლად მაქსიმალურად გაამლიერა.

ტომას დე ვალი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების სამ საერ-თო ნიშანს გამოყოფს: 1. კონფლიქტის ფესვები საბჭოთა კავშირიდან მომდინარეობს; 2. სამივე შემთხვევაში როგორც აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“, ისე სომხეთის გამარჯვება რუსეთის დახმარე-ბით მოხდა; 3. კონფლიქტის თითოეულ შემთხვევაში, ბრძოლა სამხედრო გამარჯვებასა და საერთაშორისო სამართალს შორის მიმდინარეობს, რომელიც ამბობს, რომ სეპარატისტული მხარეები აზერბაიჯანისა და საქართველოს სუვერენულ ტერიტორიას წარ-მოადგენს (De Waal, 2004).

გარდა ამისა, კონფლიქტების განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამხრეთ კავკასიის საერთო იდენტობის არარსებო-

ბაზე, კერძოდ, სამივე სახელმწიფოს განსხვავებულ საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, პოლიტიკურ კულტურასა და დემოკრატიზაციაზე, ენასა და რელიგიაზე, *სხვა რეგიონალური თუ არარეგიონალური აქტორების გეოპოლიტიკურ ინტერესებზე (პიპინაშვილი, 2009)*

აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შეფასებები ოკუპირებილ აფხაზეთში

როგორც ყარაბაღის მეორე ომის, ისე კონფლიქტის საბოლოო დასრულებას აფხაზეთის ე.წ. პოლიტიკურ ელიტაში მწვავე შეშფოთება მოჰყვა და საქართველოდან მომდინარე სამხედრო საფრთხეებზე აქტიურად ალაპარაკდნენ. მათი შეშფოთების საგანს საქართველოს შესაძლო მცდელობა წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც ცენტრალურ ხელისუფლებას აზერბაიჯანის გამოცდილების გათვალისწინებით, აფხაზეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის წამოწყება შეეძლო. აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში რამდენიმე საპირისპირო მოსაზრება გამოითქვა. მაგალითად, თუ კი საქართველო კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარებას გადაწყვეტს, მათ რუსეთი დაეხმარება, ამიტომ ე.წ. ხელისუფლებებში რუსეთისადმი ნდობა და სწრაფვა გაიზარდა. თუმცა საპირისპირო მოსაზრებით, ზოგი ფიქრობს, რომ რუსეთმა თბილისთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლოა რეგიონების როგორც აფხაზეთის, ისე ე. წ. სამხრეთ ოსეთის, აღიარება გააუქმოს. ამიტომ სეპარატისტები შეშფოთებული იყნენ რუსეთის უმოქმედობით, რომელსაც სომხეთის მიმართ დახმარების ვალდებულება კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციით (ОДКБ) ჰქონდა. აღნიშნულ არგუმენტს საპირისპირო მოსაზრებას უპირისპირებენ, რომლის თანახმად რუსეთს სომხეთის დაცვის ვალდებულება ОДКБ-ის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ კი სამხედრო შეტაკებები უშუალოდ სომხეთის ტერიტორიაზე დაიწყება. ამასთან, ამ არგუმენტის მომ-

ხრენი ხაზს უსვამენ იმას, რომ რუსეთსა და აფხაზეთსა შორის არსებობს შეთანხმება, რომლის მიხედვით რუსეთი კონფლიქტის შემთხვევაში, აფხაზეთის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. თუმცა ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 1994 წელს, როდესაც რუსეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ უკრაინას ბირთვულ იარაღზე უარის თქმის სანაცვლოდ, პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიები მისცეს, სწორედ რუსეთის ფედერაცია იყო უკრაინის უსაფრთხოების და თავისუფლების გარანტორი. ამ გარანტიას კი რუსეთისთვის ხელი არ შეუშლია 2014 წელს მოეხდინა ყირიმის ანექსია და 2022 წელს შეჭრილიყო უკრაინაში. ამიტომ ნათელია, რომ რუსეთის ნდობის არგუმენტი აფხაზეთისთვის იმედის მომცემი ვერ იქნება (რეზონანსი, 2023). შესაბამისად ისმის კითხვა, გლობალური გამოწვევებისა და მსოფლიო გეოპოლიტიკური რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, რამდენად ფასეული და მნიშვნელოვანია რუსეთისთვის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი?

ოკუპირებულ აფხაზეთში აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნეგატიური შეფასება განსაკუთრებით 27 სექტემბერს გამოიხატა, როდესაც სოხუმში „დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს“ შეშფოთებულები შეხვდნენ. აფხაზი მოსახლეობის დამშვიდების მიზნით აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა დავით ბჟანიამ ოჩამჩირე-გალის რაიონში სამხედრო წრთვნები ჩაატარა. აღნიშნული წრთვნა ერთგვარ დაპირისპირებად შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ ნარატივის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით, საქართველო, შესაძლებლობის შემთხვევაში, აფხაზების მიმართ ძალის გამოყენებას შეეცდება. აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, აფხაზეთი საქართველოდან თავდასხმის მოსაგერიებლად ემზადება. „1992-1993 წლები, 2008 წელი, რა არის შემდეგი? საქართველო არის აგრესორი და ოკუპანტი, რომელმაც აფხაზი ხალხის გენოციდი ჩაიდინა და აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაციას ახორციელებს“. - განაცხადა

ბჟანიამ (DRI-დემოკრატიის კვლევი ინსტიტუტი, 2023). ამასთან, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ხალხის დასამშვიდებლად, სოხუმის „გათავისუფლების“ დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებაც გაატარა. კერძოდ, საპატიო მედლები გადასცეს „აფხაზეთის სამამულო ომის“ მონაწილე მედიკოსებს, საზეიმო შეხვედრა გაიმართა ომის მონაწილე ქალ ვეტერანებთან, ყველა იმ ოჯახის წევრს, რომელიც აფხაზეთის ომში დაიღუპა, პენსიაზე დანამატის სახით 20 ათასი რუბლი (560 ლარი) გადაეცა (DRI-დემოკრატიის კვლევი ინსტიტუტი, 2023).

საკითხის უკეთ შესასწავლად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მარიონეტული ხელისუფლებების განცხადებები და გზავნილები. მაგალითად, ოკუპირებული აფხაზეთის, დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი, ინალ არძინბა მიჰყვება გავრცელებულ ნარატივს და აკრიტიკებს სომხეთის პრეზიდენტ ნიკოლო ფაშინიანს აზერბაიჯანის სუვერინტეტის აღიარების გამო, რაც დეფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით, სომხეთის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს ეწინააღმდეგება. „შესაძლოა ომის შედეგი ჩვენზე პირდაპირ გავლენას არ ახდენს, მაგრამ ეს ზრდის დაძაბულობას ამიერკავკასიაში, ჩვენ არ გვსურს რომ ჩვენთან მსგავსი რამ ოდესმე გამეორდეს“ - აცხადებს არძინბა (რადიო თავისუფლება, 2023). რაც შეეხება, დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივან სერგეი შამბას, მისი განცხადებით, ყარაბაღში მომხდარი მოვლენების ფონზე, აფხაზებს განსაკუთრებული სიფხიზლე და ერთიანობა მართებთ, ამიტომ აუცილებელია, როგორც აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, ისე რუსეთის ფედერაციასთან სამოკავშირეო ურთიერთობების გამყარება (Accentnews.ge, 2023). ასევე, სერგეი შამბა არ გამორიცხავს, რომ ყარაბაღში არსებულმა ვითარების შედეგად, საქართველო აფხაზეთს თავს დაესხას. შამბას განცხადებით, დასავლეთი, უკრაინა და ქართული ოპოზიცია ერთობლივი ძალით, „მეორე ფრონტის“ გახსნის პროვოცირებას ახდენს (Apsnypress, 2023).

სომხეთ-აზერბაიჯანის ომთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ე. წ. აფხაზეთის პარლამენტის განცხადება. მათ კონფლიქტის დაპირისპირებულ მხარეებს ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტისკენ მოუწოდეს და კონფლიქტის გადაჭრისთვის ნეიტრალური პლატფორმა, ქალაქი სოხუმი შესთავაზეს (Abkhazinform, 2023). რაც ერთგვარ პარადოქსად შეგვიძლია მივიჩნიოთ, არაღიარებული სახელმწიფო კონფლიქტის დეესკალაციისთვის მხარეებს არაღიარებული სახელმწიფოს დედაქალაქს სთავაზობს, ეს იმ ფონზე როდესაც, ყარაბაღის კონფლიქტის მსვლელობისას, საქართველოს სახელმწიფომ რეგიონში მშვიდობის მისაღწევად, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ერთგვარი მედიატორის ფუნქცია შეასრულა (Civil.ge, 2022).

გარდა, ე.წ. ხელისუფლებისა, ყარაბაღის კონფლიქტის და ომის შედეგების შესახებ დებატები აქტიურად იმართება აფხაზეთის ე.წ. ექსპერტულ წრეებშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია შეხვედრა აფხაზეთის ე.წ. „გამარჯვების 30 წლისთავთან“ დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის სოციალური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ოლეგ დამენია და ისტორიკოსი ასლან ავიძბა. ოლეგ დამენიას მოსაზრებით, კონფლიქტის მთავარი მიზეზი როგორც რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის ინტერესთა შეჯახება, ისე სომხეთში საზოგადოებასა და მთავრობას შორის ერთიანობის ნაკლებობაა. „გეოგრაფია ბედისწერაა, სულ რაღაც ერთ დღეში პატარა სახელმწიფო რუკიდან გაქრა, ჩვენ ფრთხილად და ყურადღებით უნდა ვიყოთ, ამიტომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სტრატეგიული განვითარების პროგრამა“ - განაცხადა მან. რაც შეეხება ასლან ავიძბას, მისი თქმით, აფხაზეთის სახელმწიფოს აშენების მთავარი მიზანი აფხაზური ეთნიკური ჯგუფის შენარჩუნება უნდა იყოს. „ისეთი მსხვილი სახელმწიფოები, როგორიცაა თურქეთის რესპუბლიკა, აშშ და ევროპული სახელმწიფოები ჩვენს ტერიტორიაზე საკუთარი ინტერესების რეალიზაციას ცდილობენ, მხოლოდ ჩვენ ხალხს შეუძლია საკუთარ მიწაზე ცხოვრება“ - თქვა

ავიმბამ. მან გაიხსენა ე.წ. „სამამულო ომი“, რომლის მიზეზად სსრკ-ის დაშლა დაასახელა, ამიტომ მისი თქმით, აფხაზეთის სახელმწიფოს არსებობის გარანტი აფხაზი ხალხის ნება და რუსეთის სახელმწიფოს მხარდაჭერაა. დისკუსიის დროს ასევე ხაზი გაესვა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქეთის გაზრდილ როლს, რომლის ძალისხმევამ ყარაბაღის კონფლიქტზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ხოლო სამომავლოდ კონფლიქტის პრევენციისა და აფხაზეთის უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით აღინიშნა აფხაზეთის არმიის საბრძოლო შესაძლებლობების, მაღალკვალიფიციური მომზადება და ლოჯისტიკის გაძლიერება, რაც თავის მხრივ რუსეთის ფედერაციასთან სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერებას ითვალისწინებს. შესაბამისად, აფხაზი პოლიტილოგები გამოსავალს და აფხაზეთის უსაფთხოების დაცვას რუსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებისფარგლებში ხედავენ (Apsnypress, 2023).

როგორც ცნობილია, ყარაბაღის კონფლიქტის დასრულებაში უმთავრესი როლი თურქეთის მიერ აზერბაიჯანის მხარდაჭერასა და დახმარებას ეკისრება, ამიტომ თურქეთის ფაქტორზე აფხაზეთშიც ბევრს საუბრობენ. ამ მხრივ საინტერესოა აფხაზურ ექსპერტულ წრეებში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით რუსულ-თურქული თანამშრომლობა შესაძლოა აფხაზეთის აღიარების პროცესზეც აისახოს, შესაბამისად, ისმის კითხვა გაუცვლიან თუ არა მოსკოვი და ანკარა ერთმანეთს ჩრდილოეთ კვიპროსისა და აფხაზეთის აღიარებას? ამ ვარიანტის შემთხვევაში, სოხუმში შესაძლებლად მიიჩნევენ რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის აღიარებას (Abkhazinform, 2020).

როგორც საინფორმაციო ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიის ანალიზით იკვეთება, აფხაზეთის ოფიციალური ნარატივი და პოზიცია ომის შედეგზე პასუხისმგელობის ნიკოლ ფაშინიანზე დაკისრებაა.

აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფაქტის შეფასებები ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში

რაც შეეხება ყარაბაღის ომის შედეგების გამოხმაურებებს ცხინვალის რეგიონში, სადაც დაახლოებით, 800-მდე სომეხი ცხოვრობს, კონფლიქტის შედეგები, აფხაზეთისგან განსხვავებით, უფრო მწვავედ განიცადეს. მთიანი ყარაბაღის აღქმა მთლიანად პოლიტიკური იყო, ვინაიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და სტეფანაკერტს ერთმანეთთან ახლო მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდათ. მაგალითად, დეფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის დიმიტრი მედოევის განცხადებით, ყარაბაღის შემდეგ, „სამხრეთ ოსეთისთვის“ უსაფრთხოების ახალი გამოწვევები შეიქმნა. მისი თქმით, „სამხრეთ ოსეთი“ დაჟინებით ითხოვს საქართველოს მიერ ისეთი დოკუმენტის ხელმოწერას, რომელიც მისი მხრიდან ძალის გამოყენებას გამორიცხავს საერთაშორისო და ორმხრივ (საქართველოსა და დეფაქტო „სამხრეთ ოსეთის“) ურთიერთობებში. მსგავსი შეშფოთება ყარაბაღის მეორე ომის დროს, უშუალოდ ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერაც გამოითქვა, რომელმაც საქართველო კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარების მცდელობაში დაადანაშაულა და ე.წ. ოფიციალური „მიმართვა“ აშშ-ის მისამართით გაავრცელა. დოკუმენტში საუბარია, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაზე, რომლის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავდაცვით და სადაზვერვო დრონებს შეიძენს, რაც მათი ცნობით „სამხრეთ ოსეთის“ უსაფრთხოებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის (Netgazeti.ge, 2021).

უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, პოლიტიკური ელიტა ე.წ. სამხრეთ ოსეთში დუმდა, თუმცა მაინც შეგვიძლია გარკვეული განცხადებების განხილვა. მაგალითად, „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. პრეზიდენტის მრჩევლის, ვიაჩესლავ გობოზოვის შეფასებით, ის რაც არცახთან მოხდა, უკიდურესად უსიამოვნო პრეცედენტია, თუმცა მისი ხედ-

ვით „სამხრეთ ოსეთში“ განსხვავებული პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობაა, ვინაიდან ის რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებული სახელმწიფოა. „სამხრეთ ოსეთს აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები, სადაც ნათლად წერია, რომ რუსეთი რესპუბლიკაზე ნებისმიერ თავდასხმას საკუთარ თავდასხმად მიიჩნევს“ - აცხადებს გობოზოვი და კონტრარგუმენტს, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში, რუსეთს სომხეთის დაცვის ვალდებულება ჰქონდა აბათილებს შემდეგი ფრაზით: ,,რუსეთს ჰქონდა სომხეთის დაცვის და არა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის დაცვის ვალდებულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოფიციალურმა ერევანმა თავად ცნო მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიად.“ (Ekhokavkaza.com, 2023). შესაბამისად, გამოდის ისე, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. პოლიტიკური წარმომადგენლობა, აფხაზების მსგავსად, მთლიან პასუხისმგებლობას სომხეთს აკისრებს.

საკითხზე საუბრისას, უნდა ავღნიშნოთ 3 ოქტომბრის სოჭის შეხვედრა, რომლის მონაწილეები იყვნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტები. სერგეი ლავროვმა ასლან ბჟანიასა და ალან გაგლოევს „მოკავშირეობის მოვალეობისადმი“ ერთგულება კვლავ დაუდასტურა. „ჩვენ ვაფასებთ ჩვენს საერთო ისტორიას, ჩვენი ურთიერთობები დინამიურად ვითარდება, რაც რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების ინტერესებს შეესაბამება“ - განაცხადა ლავროვმა და მათ მადლობა გადაუხადა უკრაინიის „სპეცოპერაციაში“ აქტიური სამხედრო მონაწილეობისთვის. შედეგად, სოჭის შეხვედრა ყარაბაღის დაცემის შემდეგ, „სამხრეთ ოსეთის“ საზოგადოების დამშვიდებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვინაიდან მოსახლეობამ ლავროვისგან მოისმინა შემდეგი სიტყვები „მიუხედავად ეკონომიკური სიძნელეებისა, რუსეთი რესპუბლიკას დაცვის გარეშეარ დატოვებს“ (Ekhokavkaza.com, 2023).

ყარაბაღის ომის შემდეგ „სამხრეთ ოსეთში“ არსებულ შეფასებებს თუ განვიხილავთ ჩანს, რომ აფხაზეთისგან განსხვავებით, აქ უფრო მეტს საუბრობენ სამხედრო გაძლიერებასა და თავდასხმისთვის მზადყოფნაზე. ე.წ. არმიის მოდერნიზაციაზე აქტიურად საუბრობს ე.წ. პრეზიდენტი ალან გაგლოევიც. მისი თქმით, რუსეთის დახმარებით „სამხრეთ ოსეთში“ დრონების წარმოება დაიწყება, რომელიც როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მიზნებისთვის იქნება გამოყენებული (Ekhokavkaza.com, 2023)

ცხინვალი წლების განმავლობაში ურთიერთობების გამყარებას ცდილობდა არაღიარებულ სოხუმის, სტეფანაკერტისა და ტირასპოლის რეჟიმებთან. სეპარატისტული რეჟიმები ერთმანეთს მხარს თვითგამორკვევის არგუმენტით უჭერენ და თავინთ პერსპექტივას მსოფლიო პოლიტიკაში რუსეთის გავლენის გაძლიერებას უკავშირებენ (Ekhokavkaza.com, 2024). ხოლო მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთმა გავლენა დაკარგა, ლოგიკურად დაისვა კითხვა, ნიშნავს თუ არა ყარაბაღის დაცემა არაღიარებული პოსტსაბჭოთა ტერიტორიების დასასრულის დასაწყისს? ამ მოვლენამ კი რა თქმა უნდა შეშფოთება გამოიწვია, როგორც საზოგადოებაში, ისე ე.წ. პოლიტიკურ ელიტაში.

ყარაბაღის ომის შედეგები - ოკუპირებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები მოსახლეობის აღქმები და შეფასებები

აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც აფხაზურ, ისე „სამხრეთ ოსეთის“ საზოგადოებაში. მოსახლეობის აზრი უმრავლეს შემთხვევაში სახელისუფლებო ნარატივს ემთხვევა, თუმცა არის გამონაკლისებიც. მოსახლეობის ერთი ნაწილი რუსეთს სომხეთის მიტოვებაში ადანაშაულებს და შიშობს, რომ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ იგივე ბედი ემუქრება. სოციალურ-მედიასა და ფორუმებზე გავრცე-

ლებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, განვიხილოთ თუ როგორ აფასებენ ყარაბაღის ომის შედეგს სეპარატისტული რეგიონების ცხოვრებლები.

„ეხო კავკაზას“ მიერ გავრცელებულ ინტერვიუებში ჩანს, რომ ადამიანები დიდი გულისტკივილით აკვირდებიან მთიანი ყარაბაღის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს: „ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი სახელმწიფო და არ მგონია თავს დაგვესხან“; რუსეთი არ დაუშვებს ჩვენთან ომი იყოს“, „არა ფაშინიანს!, სომხეთის ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა სახელმწიფოს ნაწილის მეორე სახელმწიფოსთვის გადაცემას“; „დარწმუნებული ვარ, ჩვენთან მსგავსი რამ არ მოხდება, რუსეთმა ჩვენ არამხოლოდ გვაღიარა, არამედ ჩვენი მოსახლეობის 95% რუსეთის მოქალაქეები არიან“; „ჩვენ ფაქტობრივად რუსეთის ტერიტორია ვართ, ჩვენთან ომი არ იქნება“ - აცხადებენ ოკუპირებული რეგიონის მცხოვრებლები (რადიო თავისუფლება, 2023). შედეგად, ინტერვიუში გამოყენებული ფრაზების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყარაბაღის მოვლენებმა „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობა ნამდვილად შეაშფოთა, თუმცა ისინი თავს რუსეთის გარანტიით იმშვიდებენ და აცხადებენ, რომ „სამხრეთ ოსეთი“ ფაქტობრივად რუსეთის ტერიტორიაა. ეს ნარატივი კარგად ხსნის ოკუპირებულ რეგიონში არსებულ განწყობებს, სადაც უკვე დიდიხანია რეფერენდუმის ჩატარებასა და ოფიციალურად რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას ითხოვენ (ამერიკის ხმა, 2022).

ამ მხრივ, საინტერესოა, სომხური თემის წევრის ელა ავიგიმოვას შეფასება, რომლის მოსაზრებით, ომის შემდგომ შექმნილი სიტუაციით, „სამხრეთ ოსეთში“ შეშინებულები არიან, რადგან მათ კარგად ახსოვთ 1991 წელს საბჭოთა კავშირის ჯარების საქართველოდან გაყვანა, როდესაც სამხრეთ ოსეთი საქართველოს პირისპირ მარტო დარჩა. სომხური თემის წევრი აღარ არის დარწმუნებული, რომ რუსული სამხედრო ბაზების არსებობა ოსების უსაფრთხოების

გარანტიაა, რადგან მისთვის ანალოგიები ყარაბაღსა და „სამხრეთ ოსეთს“ შორის აშკარაა. „1991 და 1992 წლების მოვლენები მახსენდება, როდესაც მოსკოვმა ორჯერ გვიღალატა.“ - აცხადებს ავაგიმოვა (exo-kavkaza.com, 2020).

რაც შეეხება, უშუალოდ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების შედეგს, ფორუმსა და სოციალურ მედიაში შესწავლილი სხვადასხვა კომენტარის საფუძველზე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ აფხაზი მოსახლეობა საკუთარი უსაფრთხოების გარანტს მხოლოდ რუსეთის ქოლგის ქვეშ ხედავს. „სანამ რუსეთი არ აღიარებს არცახის დამოუკიდებლობას, მშვიდობა იქ არ იქნება“, „კრემლი თუ არ მოიქცევა ისე როგორც 2008 წელს და მხოლოდ უსარგებლო შეშფოთებით შემოიფარგლება, იგი ამიერკავკასიასაც დაკარგავს“; - წერენ ფორუმებზე (რადიო თავისუფლება, 2020). საპირისპირო მოსაზრებით კი, რუსეთი ყარაბაღისთვის ვერაფერს გააკეთებდა, რადგან ყარაბაღის დამოუკიდებლობა თავად ოფიციალურ ერევანსაც არ ჰქონდა აღიარებული. „2008 წელი სულ სხვა იყო, მთიანი ყარაბაღის დახმარება წმინდად სომხეთის მოვალეობაა“, „ჯერ სომხებს უნდა ეღიარებინათ ყარაბაღი და მერე მოეთხოვათ რუსებისგან რაიმე“. „რუსეთს აზერბაიჯანთან და თურქეთთან დაპირისპირება არცახის გამო არ სჭირდება, არცახის დამოუკიდებლობის აღიარების სომხეთსაც ეშინოდა“ (Abkhaz-auto, 2023). შედეგად, მოსახლეობის შეფასებით, აფხაზებს იგივე ბედი არ ემუქრებათ, ვინაიდან რუსეთი მათ გვერდით დგას, ხოლო ყარაბაღს და ხალხს სომხეთის კორუმპირებულმა ხელისუფლებამ უღალატა. ისინი აცხადებენ, რომ აზერბაიჯანი ყარაბაღში მთელ სომხურ ეთნიკურ ჯგუფს განდევნის ან მათ ისლამის მიღებას შესთავაზებს, რაშიც დამნაშავე, მხოლოდ სომხეთის ელიტაა, რომელიც ხალხს გამოეყო, ამიტომ ისინი აქცენტს აფხაზების ერთიანობაზე აკეთებენ. ამ პოზიციის მომხრე აფხაზები ომის შედეგში ღიად სომხეთის ხელისუფლებასა და პრემიერს ადანაშაულებენ.

„ნაკლებ სავარაუდოა, რომ სომხეთის ხელმძღვანელობას ეს ყველაფერი ეპატიოს“, „ლოგიკური დასასრულია, როცა ხელისუფ-ლებაში ხავერდოვანი რევოლუციის ლიდერები მოდიან, სააკაშ-ვილმა დაკარგა საქართველოს ნაწილი, ფაშინიანმა ყარაბაღი, რა ბედი ეწევა აფხაზეთს, როცა ასეთი ფიგურები ხელისუფლებაში მოვლენ?“ - ვკითხულობთ ფორუმზე (Abkhaz-auto, 2023). აღსანიშ-ნავია, რომ ამ კომენტარს დაპირისპირება მოჰყვა უშუალოდ აფხაზი საზოგადოების შიგნით და კომენტარის ავტორი აფხაზეთის მტრად მოიხსენიეს. მსგავსი პოზიციის მქონე აფხაზების მოსაზრებით, სა-ქართველო, როგორც სახელმწიფო დიდი ხანია არ არსებობს. პრო-რუსი აფხაზების შეფასებით, საქართველო ევროპისა და ნატოს მიერ დასახულ ამოცანებს ასრულებს და მათგან ნებისმიერ მომენტში შეიძლება მიიღოს ბრძანება სუვერენული რესპუბლიკების აფხაზე-თის ან სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყ-ების შესახებ (Abkhaz-auto, 2023) (Abkhaz-auto, 2023).

პლატფორმაზე შეინიშნება საერთო აზრისგან განსხვავებული კომენტარებიც, რომელთა მიხედვით რუსეთმა ყარაბაღი მიატოვა და იგივე ბედი შეიძლება აფხაზეთმაც გაიზიაროს. მათი ხედვით, მოსკოვი ელცინის დროს ზუსტად ასე იქცეოდა, რის გამოც აფხა-ზეთი იძულებით შეიყვანეს საქართველოს შემადგენლობაში, ამიტომ მათთვის გაურკვეველია, თუ რა მოხდება პუტინის მმართველობის შემდგომ. „რუსეთის პოლიტიკა კარდიოგრამასავით მერყეობს“, „რუსეთს უჩვენოდაც პრობლემები აქვს, თუ კი აფხაზეთი დასავ-ლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის საგნად გადაიქცევა, ის მას გადაეცემა ვისაც უფრო დიდი ჯიბე აქვს“, „რუსებმა ყარაბაღი რამდენიმე დღეში ჩააბარეს, თითქოს იგივე ბედი არ გველოდება რუსეთის ფედერაციისგან ჩვენი პოლიტიკით, გადაწყვეტილებები მიიღება პრინციპით თუ რა არის სასარგებლო რუსეთისთვის“, ,,აფხაზეთმა დამოუკიდებლობას ომში გამარჯვებით მიაღწია, მაგრამ მაშინ რუსეთი აფხაზეთის მხარეს არ იყო. 1993 წელს ომი რომ არ

მოგვეგო, საქართველო ნატოში დიდი ხნის წინ გაწევრიანდებოდა და მისი ჯარი ფსოუზე იქნებოდა განლაგებული (Abkhaz-auto, 2023). შესაბამისად ჩანს, რომ აფხაზი საზოგადოების ერთი ნაწილი რუსეთის ფედერაციას არ ენდობა. აღნიშნულ მოსაზრებას აქტიურად უპირისპირდებიან ის აფხაზები, რომელთა აზრით აფხაზეთის უსაფრთხოების გარანტორი რუსეთის ფედერაციაა. ისინი იხსენებენ 2008 წლის ომს და ამბობენ, რომ მას შემდეგ რაც, რუსეთმა კოდორიდან ქართველი დაქირავებული ჯარისკაცები გააძევა, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკებში ეკონომიკური ზრდა დაიწყო. მათივე მოსაზრებით, რუსეთი და აფხაზეთი თანაბარ პირობებში აშენებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს (Abkhaz-auto, 2023).

„რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მიზანმიმართულად გაფუჭებით ვისთან აპირებთ ახალი კავშირების დამყარებას? საქართველოსთან თუ აფხაზ-თურქული დიასპორის გათვალისწინებით, თურქეთთან?", „ეს მოლაპარაკები უკრაინული და სომხური სცენარით მაიდანთან მიდის, ერდოღანი თურქეთში მისი ქართული ფესვების გათვალისწინებით აფხაზურ დიასპორას თითის ერთი დაჭერით დაახრჩობს, მას შეუძლია ქართველების დახმარება", - აცხადებენ ის აფხაზები, რომელთა აზრით აფხაზეთის გადარჩენა მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან აქტიური მოკავშირეობით შეიძლება (Abkhaz-auto, 2023).

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კვლევით პასუხი გაეცა კითხვას თუ გავლენა იქონია აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ და მთიანი ყარაბაღის ომმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე. გამოიკვეთა, რომ საქართველოს ორივე სეპარატისტული რეჟიმის ხელისუფლება ყარაბაღის ომის შედეგს ნეგატიურად აფასებს, განიხილავს შესაძლო რისკს, რომლის მიხედვით, საქართველომ შესაძლოა ყარაბაღის გამოცდი-

ლება გამოიყენოს და დასავლეთის დაკვეთით „სამხრეთ ოსეთს“ ან აფხაზეთს დაესხას თავს. აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის ომში გამარჯვება, სეპარატისტული რეჟიმების ე.წ. პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოებისთვის პოლიტიკური არასტაბილურობის საფრთხეს შეიცავს. თუმცა დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. მმართველები რისკის პრევენციას რუსეთთან აქტიურ სამხედრო თანამშრომლობასა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში ხედავენ, მით უმეტეს ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“, სადაც რუსეთის ფედერაციასთან ერთად ერთობლივი არმიის შექმნის იდეა აქვთ. მეორე მხრივ სეპარატისტული რეჟიმი აზერბაიჯანის გამარჯვებასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ისინი მსგავს სცენარს არ ელოდებიან მარტივი მიზეზის გამო:

- რუსეთს აღიარებული აქვს როგორც აფხაზეთის, ისე „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, ორივე ერთეულთან გაფორმებული აქვს მთელი რიგი სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით აფხაზეთზე და „სამხრეთ ოსეთზე“ თავდასხმა რუსეთის ფედერაციაზე თავდასხმას გულისხმობს. ამასთან ორივე მხარის არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რუსეთის ჯარი, სამხედრო ბაზის სახით, ორივე რეგიონშია განლაგებული. მათი შეხედულებით, განსხვავებული პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობის გამო, ყარაბაღისა და „სამხრეთ ოსეთის“ ან აფხაზეთის კონფლიქტების ერთმანეთთან შედარება არალოგიკურია. თუმცა მათ ავიწყდებათ 2020 წლის მეორე ომის შემდგომ ყარაბაღში განლაგებული ,,რუსი მშვიდობისმყოფელები“, რომელიც ყარაბაღისთვის უსაფრთხოებისთვის გარანტია ვერ აღმოჩნდა. რაც შეეხება, ყარაბაღის კონფლიქტის დასასრულის მიზეზს, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში მთავარ პასუხისმებლობას სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლო ფაშინიანს აკისრებენ, რომელმაც მათი მოსაზრებით, რუსული პოლიტიკური კურსისგან გადაუხვია.

რაც შეეხება ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის აღქმას, განსაკუთრებით, აფხაზეთში გამოიკვეთა, რომ მოსახლეობის აზრი ორად არის გაყოფილი. ერთის მოსაზრება მთლიანად ემთხვევა ე.წ. სახელისუფლებო ნარატივს და ომის შედეგებზე პასუხისმგებლობას სომხეთს აკისრებს და ამასთან აცხადებს, რომ რუსეთი აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ ომს არ დაუშვებს, ხოლო მეორე მხარის პოზიციით, რუსეთმა ყარაბაღი ჩააბარა და შესაძლოა, რომ მომავალში აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს ჩააბაროს. ამიტომ, აფხაზთა ნაწილი ავტონომიურობის გაზრდასა და დამოუკიდებლობას ითხოვს, განსხვავებით „სამხრეთ ოსეთისა“, რომლებიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას უჭერენ მხარს.

ფაქტია, რომ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში ყარაბაღის ომის დასასრულმა სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური სურათი რადიკალურად შეცვალა და ძალთა ახალი ბალანსი ჩამოყალიბა. შესაბამისად, გაჩნდა მოლოდინი იმისა, რომ რუსეთის გავლენის შემცირებამ პოსტსაბჭოთა სივრცეში არაღიარებული სახელმწიფოების დასასრული შეიძლება გამოიწვიოს, თუმცა ამ შეხედულების მომხრეების მოსაზრებას წონადი კონტრ-არგუმენტი აბათილებს, რომლის მიხედვით საქართველოს კონფლიქტების უშუალო მონაწილე მხარე რუსეთის ფედერაციაა.

გამოყენებული ლიტერატურა

Abkhaz-auto. (2023, 09 20). Нагорный Карабах подписал капитуляцию перед Азербайджаном. Retrieved from https://abkhaz-auto.ru/news/14443

Abkhaz-auto. (2023, 09 28). Республика Нагорный Карабах прекращает свое существование. Retrieved from https://abkhaz-auto.ru/news/14453

Abkhazinform. (2020, 10 5). АРМЯНСКАЯ ОБЩИНА АБХАЗИИ СОЗДАЕТ ОРГКОМИТЕТ ПО ОКАЗАНИЮ ПОМОЩИ НАРОДУ АРЦАХА. Retrieved from

http://abkhazinform.com/item/11619-armyanskaya-obshchina-abkhazii-sozdaet- orgkomitet-po-okazaniyu-pomoshchi-narodu-artsakha

Abkhazinform. (2020, 11 18). ОБ ОППОЗИЦИИ, БОРЬБЕ С КОВИДОМ, О ПРОДАЖЕ НЕДВИЖИМОСТИ И МНОГОМ ДРУГОМ – С ПРЕСС-КОНФЕРЕНЦИИ АСЛАНА БЖАНИЯ. Retrieved from http: //abkhazinform.com/item/11907-ob-oppozitsii-borbe-s-kovidom-o-prodazhe-nedvizhimosti-i-mnogom-drugom-s-press-konferentsii-aslana-bzhaniya

Abkhazinform. (2023, 09 29). АСЛАН АВИДЗБА: МЫ ДОЛЖНЫ ИСХОДИТЬ В ПЕРВУЮ ОЧЕРЕДЬ ИЗ СВОИХ СОЮЗНИЧЕСКИХ ОБЯЗАТЕЛЬСТВ. Retrieved from http: //abkhazinform.com/tochka-zreniya/item/19819-aslan-avidzba-my-dolzhny-iskhodit-v-pervuyu-ochered-iz-svoikh-soyuznicheskikh-obyazatelstv

Abkhazinform. (2023, 09 27). ТО, ЧТО ПРОИЗОШЛО В КАРАБАХЕ – ЭТО БОЛЬШИЕ ЧЕЛОВЕЧЕСКИЕ ТРАГЕДИИ. Retrieved from http://abkhazinform.com/item/19743-to-chto-proizoshlo-v-karabakhe-eto-bolshie-chelovecheskie-tragedii

Accentnews.ge. (2023, 10 17). გადასცემს თუ არა ყარაბაღი ესტაფეტას აფხაზეთს? Retrieved from https://publika.ge/article/saqartvelos-konfliqtebi-yarabaghis-meore-omis-shemdeg/

Apsnypress. (2023, 11 26). Аслан Бжания: поддержка Николом Пашиняном территориальной целостности Грузии противоречит факту

суверенитета Абхазии . Retrieved from https://www.apsnypress.info/ru/home/novosti/item/8630-aslan-bzhaniya-podderzhka- nikolom-pashinyanom-territorialnoj-tselostnosti-gruzii-protivorechit-faktu-suvereniteta-abkhazii

Apsnypress. (2023, 09 23). В Абхазии с болью в сердце воспринимают происходящее в Нагорном Карабахе . Retrieved from https://www.apsnypress.info/ru/home/novosti/item/7499-v-abkhazii-s-bolyu-v-serdtse- vosprinimayut-proiskhodyashchee-v-nagornom-karabakhe

Apsnypress. (2023, 10 24). В ЦСИ обсудили итоги вооруженного конфликта в Карабахе и его возможные последствия для безопасности Абхазии. Retrieved from https://www.apsnypress.info/ru/home/novosti/item/8033-v-tssi-obsudili-itogam- vooruzhennogo-konflikta-v-karabakhe-i-ego-vozmozhnye-posledstviya-dlya-bezopasnosti- abkhazii

Apsnypress. (2023, 11 26). Депутаты Парламента Абхазии отреагировали на слова Никола Пашиняна о поддержке территориальной целостности Грузии. Retrieved from https://www.apsnypress.info/ru/home/novosti/item/8624-deputaty-parlamenta-abkhazii- otreagirovali-na-slova-nikola-pashinyana-o-podderzhke-territorialnoj-tselostnosti-gruzii

Civil.ge. (2022, 09 13). ღარიბაშვილი: საქართველო მზადაა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შუამავლის როლი ითამაშოს. Retrieved from https://civil.ge/ka/archives/508022

De Waal, T. (2004). THE NAGORNO KARABAKH, THE ABKHAZIAN-GEORGIAN AND THE GEORGIAN-SOUTH OSSETIAN CONFLICTS. Brussels: THE SOUTH CAUCASUS.

DRI-დემოკრატიის კვლევი ინსტიტუტი. (2023, 10 4). რა განწყობებით შეხვდა სოხუმი 27 სექტემბერს? Retrieved from https://www.democracyresearch.org/geo/1309/

Ekhokavkaza.com. (2023, 09 21). Что в Южной Осетии думают о событиях в Карабахе?

Retrieved from https://www.ekhokavkaza.com/a/32603647.html

Ekhokavkaza.com. (2024, 01 5). Год под знаком войны в Украине и падения Нагорного Карабаха. Retrieved from https://www.ekhokavkaza.com/a/32762951.html

exo-kavkaza.com. (2020, 11 13). Карабах – предостережение для Абхазии и Южной Осетии?

Retrieved from https://www.ekhokavkaza.com/a/30949195.html

Jam News. (2023, 09 23). რატომ არ ემუქრება აფხაზეთს მთიანი ყარაბაღის ბედი? მოსაზრება სოხუმიდან. Retrieved from https://jam-news.net/ge/ratom-ar-emuqreba-afkhazets- mtiani-yarabaghis-bedi-mosazreba-sokhumidan/

Jnews.ge. (2022, 02 11). სოხუმსა და ცხინვალში ყარაბაღის ომის შედეგებზე დაფიქრდნენ. Re2trieved from https://ka.jnews.ge/?p=21821

Mearsheimer, J. J. (2005). An offensive realist between geopolitics and power. journal of International Relations and Development, https://link.springer.com/article/10.1057/palgrave.jird.1800065.

Morgenthau, H. (1993). Politics Among Nations, The Struggle for Power and Peace. New-York: The McGraw-Hill Companies.

Netgazeti.ge. (2021, 01 25). ყარაბაღის შემდეგ, სამხრეთ ოსეთისთვის უსაფრთხოების გამოწვევები შეიქმნა | მედიოევი. Retrieved from https://netgazeti.ge/news/514131/

Reginfo. (2017, 08 29). აფხაზეთის და მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო რესპუბლიკებს შორის პირველი მემორანდუმი გაფორმდა. Retrieved from

https://reginfo.ge/caucasus/item/2306-apxazetis-da-mtiani-ybarabagis-de-paqto-respublikebs-shoris-pirveli-e-x-memorandumi-gapormda

Waltz, K. N. (1979). Theory of International Politics. Berkeley: University of California.

Waltz, K. N2. (1959). Man, the State, and War: A Theoretical Analysis. New-York: Columbia University Press.

მაცაბერიძე, მ. (2014). კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პიპინაშვილი, დ. (2009). ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები". თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რადიო თავისუფლება. (2020, 09 30). აფხაზეთიდან დანახული ყარაბაღის კონფლიქტი. Retrieved from https: //www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90% E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C - %E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83 %9A%E1%83%98- %E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1

რადიო თავისუფლება. (2023, 09 21). რა ხდება ყარაბაღში? Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90- %E1%83%AE%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90- %E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83 %A6%E1%83%A8%E1%83%98- %E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83 %98%E1%83%97-%

რადიო თავისუფლება. (2023, 9 23). როგორ ააფორიაქა ყარაბაღმა ოკუპირებული სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი. Retrieved fromhttps://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D %E1%83%A0- %E1%83%90%E1%83%90%E1%83%A42%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83 %90%E1%83%A5%E1%83%90-

%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83 %A6%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%92%E

რადიო თავისუფლება. (2023, 11 27). ფაშინიანი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს - რას ამბობენ სოხუმსა და ცხინვალში? Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D %E1%83%A0-

2%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%93%E1%83%9C%E1%83 %94%E1%83%9C-%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83 %90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E

რადიო თავისუფლება. (2024, 01 1). არსებობა ოფიციალურად შეწყვიტა მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ. Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/32755374.html

რეზონანსი. (2023, 10 2). ყარაბაღის პრეცედენტი აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისთვის“ – „შეშფოთებულები არიან და აშკარად არ მოეწონათ“. Retrieved from https://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=2&id_artc=190017

Inga Putkaradze

The restoration of territorial integrity by Azerbaijan and its impact on the separatistregimes in Georgia

Abstract

This article assesses the repercussions of Azerbaijan's restoration of territorial integrity and the resolution of the Karabakh conflict on the separatist regimes in Georgia. It further examines the evaluations and perspectives of the de facto authorities in Abkhazia and South Ossetia, along with the population residing in the occupied territories of Georgia, regarding the outcomes of the Karabakh war.

The thesis employs a qualitative research methodology, focusing on the analysis of news websites, social media, and television archives pertaining to the Karabakh war within the self-declared occupied territories of Georgia, namely South Ossetia and Abkhazia. The aim is to analyze the reactions and sentiments of both the government and the public.

Keywords: Conflicts in the South Caucasus, Nagorno-Karabakh conflict, Abkhazia and South Ossetia.